-29.
59 (0
5 4
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ბიბლიოთეკა
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

1932 წლის ივნისის 1	№ 13 განყოფილების პირველი	ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემა.

შინაარსი:

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

მუხ. 107. ერთიანი სოციალისტური აღნუსხვის მომუშავეთა მომზადებისა და გარდამზადების შესახებ,

108. „საბინაო მეურნეობის დარგში საჭირო ღონისძიებათა დებულების დამტკიცების თაობაზე„ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ნოემბრის 19-ის დადგენილების მე-6 მუხლის „ვ„ პუნქტის შეცვლის შესახებ.

109. მუშათა და გლეხთა წითელი არმიის კადრებში და მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შედგენილობაში გაწვეულ სამხედრო-მსახურთა ოჯახების აღნუსხვის წესისა და 1932 წელს მათი უზრუნველყოფის ნორმებისა და წესის შესახებ.

110. უაღრესი მნიშვნელობის მქონე სახელმწიფო წიგნთსაცავებისათვის ა/კსფსრ ტერიტორიაზე გამოსული ყველა გამოცემის მიწოდების შესახებ.

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

111. ა/კსფსრ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების თაობაზე აღძრული შუამდგომლობის წარდგენის და განხილვისა და დაჯილდოებულისათვის ამ ორდენის ჩაბარების წესის შესახებ.

112. ა/კსფსრ შრომის წითელი დროშის ორდენით ნავთის დარგში მომუშავეთა კავშირის დაჯილდოების შესახებ.

113. საბჭოთა აპარატში მუშათა სოციალისტური შეთავსების შესახებ.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

107. ერთიანი სოციალისტური აღნუსხვის მომუშავეთა მომზადებისა და გარდამზადების შესახებ.

აღნუსხვის მომუშავეთა მომზადებისა და გარდამზადების საქმეში გეგმიანობისა და პროგრამულ-მეთოდური ერთიანობის შეტანის მიზნით ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სოციალისტური აღნუსხვის მომუშავეთა მომზადებისა და გარდამზადების მთელი საქმე თავმოყრილ იქნეს ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს სისტემაში შემდეგ საფუძველზე.

2. საერთო მეთვალყურეობას და საორგანიზაციო და პროგრამულ-მეთოდურ ხელმძღვანელობას აღნუსხვის მომუშავეთა მომზადებისა და გარდამზადების საქმეს უწევენ ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველო და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოები.

3. საინსტრუქტორო და სარაციონალიზატორო კადრების მომზადებას ერთიანი სოციალისტური აღნუსხვის დამუშავებისა და შთანერგვის სფეროში და აგრეთვე მექანიზირებული აღნუსხვისათვის მომუშავეთა მომზადებას ანხორციელებს აღნუსხვის საკავშირო ორგ. ა/კ. კონტორა.

4. ყველა სახის სოციალისტური აღნუსხვის (სასტატისტიკო, საბუხჰალტერო, ოპერატიული და სხვ.) მომუშავეთა მომზადებას და გარდამზადებას აწარმოებენ აღნუსხვის საკავშირო ორგ. ა/კ. კონტორის რესპუბლიკანური განყოფილებანი.

5. ამა დადგენილების მე-3 და 4 მუხლებით გათვალისწინებული მომზადება და გარდამზადება სწარმოებს სრული სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე.

6. მე-4 მუხლში აღნიშნულ მომუშავეთა მომზადებისა და გარდამზადების არსებული კურსები, ამჟამად მყოფ მსმენელთა შედგენილობით, ქონებით, სადგომებით და საბრუნავი სახსარით გადაეცეს კუთვნილებისამებრ აღნუსხვის საკავშირო ორგ. ა/კ. კონტორას და მის განყოფილებებს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში.

7. წინადადება მიეცეს ყველა დაწესებულებას, უწყებას და საზოგადოებრივ ორგანიზაციას—შეიმუშაოს ორი დეკადის ვადაზე, 1932 წლის საკონტროლო ციფრების შესაბამისად, ყველა პროფილის აღნუსხვის მომუშავეთა კადრებისადმი მოთხოვნილების გეგმები და წარუდგინოს ეს გეგმები კუთვნილები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეგრ ა/კ. სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოებს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ეფენდიევი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1932 წ. მაისის 17.
ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

108. „საბინაო მეურნეობის დარგში საჭირო ღონისძიებათა დებულების დამტკიცების თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ნოემბრის 19-ის დადგენილების მე-6 მუხლის „ვ“ პუნქტის შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„საბინაო მეურნეობის დარგში საჭირო ღონისძიებათა დებულების დამტკიცების თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ნოემბრის 19-ის დადგენილების მე-6 მუხლის „ვ“ პუნქტი (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. 21 №-ი, მუხ. 252) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

(6. წინადადება ეძლევა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:...)

„ვ) დააწესონ ანარიცხები კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისათვის საბინაო-საიჯარო კოოპერაციის სახლებში საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათა საბინაო ქირის საერთო შემოსავლის 10%-დე, ხოლო მუშათა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების ხაზით—სახლის საექსპლოატაციო ხარჯების ანარიცხები 5%-დე“.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ეფენდიევი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1932 წ. მაისის 17.
ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

109. მუშათა და გლეხთა წითელი არმიის კადრებში და მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შედგენილობაში გაწვეულ სამხედრომსახურთა ოჯახების აღნუსხვის წესისა და 1932 წელს მათი უზრუნველყოფის ნორმებისა და წესის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაწესებულ იქნეს 1932 წ. სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფის მქონე ოჯახთა წევრებისათვის ყოველთვიური დახმარება შემდეგი რაოდენობით:

ა) სოფლად—ოჯახის ერთ არაშრომაუნარიან წევრზე—9 მანეთი, მეორეზე—7 მან., მესამეზე—6 მან., მეოთხეზე და დანარჩენებზე ხუთ-ხუთი მანეთი;

ბ) ქალაქად—ოჯახის ერთ არაშრომაუნარიან წევრზე—15 მან., მეორეზე—13 მან., მესამეზე—11 მან., მეოთხეზე და დანარჩენებზე—რვა-რვა მან..

შენიშვნა. სამხედრომსახურის იმ ოჯახის წევრები, სადაც, მუშათა და გლეხთა წითელ არმიაში გაწვეულის გარდა, არის ოჯახის მეორე შრომაუნარიანი წევრი და ეს ორივენი თავიანთი შრომით, გაწვევამდე, არჩენდნენ სამს ან მეტს არაშრომუნარიან წევრს, იღებენ დახმარებას მხოლოდ მესამეზე, მეოთხეზე და დანარჩენ არაშრომუნარიან წევრებზე ამა მუხლში დადგენილი რაოდენობით პირველ და მის მომდევნო არაშრომუნარიან წევრთა შესაბამისად.

2. დამყარებულ იქნეს გაწვეულთა აღნუსხვისა და უზრუნველყოფის დანიშვნის შემდეგი წესი:

ა) სარაიონო სამხედრო კომისარიატების გამწვევი კომისიები, გაწვევის დამთავრებისთანავე, დაუყოვნებლივ ადგენენ ზედმიწევნითს სიებს იმ პირებისას, რომელნიც გაწვეულ არიან მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ტერიტორიალური ნაწილების საკადრო და ცვალებად შედგენილობაში და რომელთაც, ოჯახობრივი და ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით, აქვთ უზრუნველყოფის უფლება, და ამ სიებს უგზავნიან სოციალური უზრუნველყოფის სათანადო ორგანოებს;

ბ) უზრუნველყოფის დანიშვნა სწარმოებს სარაიონო სამხედრო კომისიებისაგან მიღებული სიების საფუძველზე გაწვევის დღიდან, არა უგვიანეს 10 დღისა სიების მიღების დროიდან.

შენიშვნა. ცვალებად შედგენილობაში გაწვეულთა ოჯახებს დახმარება ენიშნებათ იმის შემდეგ, რაც სოციალური უზრუნველყოფის ორგანო მიიღებს სამხედრო ნაწილის შეტყობინებას, რომ ცვალებადელი გამოცხადდა შეკრებაზე.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ეფენდიევი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1932 წ. მაისის 17.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

110. უაღრესი მნიშვნელობის მქონე სახელმწიფო წიგნთსაცავებისათვის ა/კსფსრ ტერიტორიაზე გამოსული ყველა გამოცემის მიწოდების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. „უაღრესი მნიშვნელობის მქონე სახელმწიფო წიგნთსაცავებისათვის სსრკ-ის ტერიტორიაზე გამოსული ყველა გამოცემის მიწოდების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აგვისტოს 23-ის დადგენილების მე-5 მუხლის შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1931 წ. 55 №-ი, მუხ. 356) დაწესებულ იქნეს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკისათვის ქ. ბაქოში და ამხ. ა. მიასნიკოვის სახელობის, სომხეთის სსრ-ის, საჯარო ბიბლიოთეკისათვის ქ. ერევანში ყველა იმ წიგნისა, ბროშურისა, ჟურნალისა, ბიულეტენისა, დედა-ქალაქთა გაზეთისა, ნოტებისა, გეოგრაფიული რუკისა და გეგმის თითო ცალის უფასოდ მიწოდება, რაც ა/კსფსრ ტერიტორიაზე გამოდის.

შენიშვნა. საქართველოს სსრ-ის საჯარო ბიბლიოთეკას უნდა მიეწოდოს უფასოდ აღნიშნული გამოცემანი სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ზემოხსენებული, 1931 წ. აგვისტოს 23-ის, დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად.

2. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ შეუძლიანთ დააწესონ უწყებული რესპუბლიკის ყველა გამოცემის სავალდებულო ცალის უფასოდ მიწოდება უნივერსალური ბიბლიოთეკებისათვის, გარდა ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული ბიბლიოთეკებისა.

ამიერკავკასიის ცნტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ეფენდიევი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1932 წ. მაისის 17.
ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

111. **ა/კსფსრ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების თაობაზე აღძრული შუამდგომლობის წარდგენის და განხილვისა და დაჯილდოებულისათვის ამ ორდენის ჩაბარების წესის შესახებ.**

„ა/კსფსრ შრომის წითელი დროშის ორდენის დებულების“ განსავითარებლად და ამ ორდენის სტატუტის შესაბამისად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ა/კსფსრ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების თაობაზე შეტანილ წარდგინებათა განსახილველად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან მოეწყობა სპეციალური კომისია. კომისიის გადაწყვეტილებათ დაჯილდოების შესახებ ამტკიცებს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

2. აღნიშნული ორდენით დაჯილდოების წარდგინებათა წინასწარი შეთანხმებისა და მათ შესახებ დასკვნების მიცემისათვის ა/კ. პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან მოეწყობა ორი დამაჯილდოებელი კომისია:

ა) პირველი—მრეწველობისა და ტრანსპორტის მომუშავეებისა და სამეურნეო ერთეულების დაჯილდოების წარდგინებათა განსახილველად—შემდეგი შედგენილობით: თავმჯდომარე—ა/კ. პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრი და წარმომადგენელნი: ა/კსფსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატისა, სსრკ-ის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსფსრ-ში) სამმართველოსი, სსრკ-ის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსფსრ-ში) სამმართველოსი, სსრკ-ის გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა, ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოსი და ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატისა;

ბ) მეორე—სოფლის მეურნეობის მომუშავეებისა და სამეურნეო ერთეულების დაჯილდოების წარდგენათა განსახილველად—შემდეგი შედგენილობით: თავმჯდომარე—ა/კ. პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრი და წარმომადგენელნი: ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრისა.

3. ა/კ. პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს პრეზიდიუმთან არსებული დამაჯილდოებელი კომისიები მიიღებენ თავისდა განსახილველად წარდგინებებს დაჯილდოების შესახებ:

1. ტრანსპორტისა და მრეწველობის ხაზით:

ა) მუშისა—როდესაც არსებობს საერთო საამქრო კრების დადგენილება და საქარხნო ორგანიზაციის აზრი მის დაჯილდოების თაობაზე;

ბ) საადმინისტრაციო-სატეხნიკო პერსონალის მომუშავისა, როდესაც არსებობს საქარხნო პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციების აზრი დაჯილდოების შესახებ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ქარხნისა—როდესაც არსებობს რესპუბლიკანური სამეურნეო და პროფესიონალური ორგანიზაციების აზრი დაჯილდოების შესახებ.

2. სოფლის მეურნეობის ხაზით:

ა) ჩვეულებრივი მომუშავისა (კოლექტიური მეურნეობის წევრისა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურის და საბჭოთა მეურნეობის მუშისა), როდესაც არსებობს კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობის და სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მომუშავეთა საერთო კრების გადაწყვეტილება და პარტიული და პროფესიონალური ქვედა ორგანიზაციების (საბჭოთა მეურნეობის და სამანქანო-სატრაქტორო სადგურის) აზრი დაჯილდოების შესახებ;

ბ) საადმინისტრაციო და აგრონომიული პერსონალის მომუშავისა—როდესაც არსებობს პარტიული (კოლექტიურ მეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში და სამანქანო-სატრაქტორო სადგურის) და პროფესიონალური (საბჭოთა მეურნეობაში და სამანქანო-სატრაქტორო სადგურის) ორგანიზაციების გადაწყვეტილება დასაჯილდოებლად წარდგენის შესახებ;

გ) კოლექტიური მეურნეობისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურისა მთლიანად—როდესაც არსებობს რესპუბლიკანური სამეურნეო და პროფესიონალური ორგანიზაციების აზრი დაჯილდოების შესახებ.

4. ა/კ. პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს პრეზიდიუმთან არსებული დამაჯილდოებელი კომისიების მიერ განხილული წარდგინებანი ა/კსფსრ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ გადეეცემა ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებულ კომისიას დასამტკიცებლად.

5. წარდგინებანი აღნიშნული ორდენით იმ მომუშავეების და ორგანიზაციების დაჯილდოების შესახებ, რომელნიც გათვალისწინებულ არ არიან ამა დადგენილებით, შეიტანება უშუალოდ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის კომისიაში; ამასთანავე, ეს კომისია თვითეულ ცალკე შემთხვევაში განსაზღვრავს, საჭიროა თუ არა დამატებითი მასალის მიღება.

6. ა/კსსფრ შრომის წითელი დროშის ორდენს ჩააბარებს დაჯილდოებულ ცალკეულ პირს და კოლექტივს, როგორც საერთო წესი, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე პირადად ქ. ტფილისში; ამავე დროს, ა/კსფსრ შრომის წითელი დროშის ორდენის დებულების თანახმად, მასვე ჩაბარდება განსაკუთრებული სიგელი და დოკუმენტები შეღავათების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. ხულთანოვი.**

1932 წ. მაისის 3.
ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

112. ა/კსფსრ შრომის წითელი დროშის ორდენით ნავთის დარგში მომუშავეთა კავშირის დაჯილდოების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:
ნავთის დარგში მომუშავეთა კავშირი დაჯილდოებულ იქნეს ა/კსფსრ შრომის წითელი დროშის ორდენით.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ეფენდიევი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1932 წ. მაისის 17.
ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

113. საბჭოთა აპარატში მუშათა სოციალისტური შეთავსების შესახებ.

მოისმინა-რა ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის კადრების განყოფილების მოხსენება საბჭოთა აპარატში მუშების სოციალისტური შეთავსების შესახებ, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აღნიშნავს, რომ ამიერკავკასიის და რესპუბლიკანურმა უწყებებმა საკმარისად ვერ გაშალეს მუშაობა სოციალისტური შეთავსების პრაქტიკის შთანერგვისათვის საბჭოთა, სამეურნეო, კოოპერატიული და სხვა დაწესებულებების (გარდა ბაქოსი) მუშაობაში; ხოლო უწყებათა ცალკეული მომუშავენი ჯეროვანად ვერ აფასებენ სოციალისტური შეთავსების პოლიტიკურ მნიშვნელობას; ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ საბჭოთა მუშაობის სისტემაში, მიუხედავად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1931 წ. ივნისის 2-ის დადგენილებისა—საქალაქო საბჭოების ამოცანების და მუშაობის გარდაქმნის შესახებ—სოციალისტურმა შეთავსებამ სათანადო ადგილი ვერ დაიჭირა. სოციალისტური შეთავსების შემდგომი განვითარებისათვის—საწარმოთა მიერ სახელმწიფო დაწესებულებების შეფობის მიღების საფუძველზე—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—დაავალონ საქალაქო საბჭოებს და რესპუბლიკანურ უწყებებს—არ აწარმოონ სოცშეთავსების პრაქტიკა საწარმოო საათებში; ამავე დროს, როგორც საერთო წესი, აკრძალონ სოცშემთავსებელთა სამუშაოზე გამოყენება გამოსასვლელ დღეებში საბჭოთა, სამეურნეო, კოოპერატიულ და სხვა დაწესებულებებში; თანაც არ უნდა დატვირთონ ისინი მუშაობით იმდენად, რომ მათ ნორმალური დასვენების დრო შეუმცირდეთ. იმ დაწესებულებამ, სადაც სოცშემთავსებელნი მუშაობენ, უნდა მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება მათი მუშაობის ორგანიზაციის საკითხს და შექმნას მათთვის ისეთი პირობები, რაც უზრუნველჰყოფს სახელმწიფო აპარატის მიერ მათთვის დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების ნორმალურ მსვლელობას; სოცშემთავსებელთ უნდა მიეცეს განსაზღვრული სამუშაო და გაეწიოს სათანადო ხელმძღვანელობა; ისინი არ უნდა იქნენ გამოყენებულნი ტეხნიკურ საკანცელარიო მუშაობაზე.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—დაავალონ საქალაქო საბჭოებს (ბაქო, ტფილისი, ერივანი, ბათუმი, ლენინაკანი) მოაწყონ ერთი თვის ვადაზე სოცშემთავსებელთათვის კურსები, კონფერენციები და სემინარები საბჭოთა მშენებლობის ხაზით, მუშაობის ტეხნიკის შეთვისებისათვის და სხვა მისთ.

3. ეთხოვოს ა/კ. პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის კადრების განყოფილებასთან შეთანხმებით, გასცეს დამატებითი დირექტივები საწარმოთა მიერ საბჭოთა, სამეურნეო, კოოპერატიულ და სხვა დაწესებულებებზე შეფობის გაშლისათვის; ჩაატაროს შეფობის შესახებ არსებული ხელშეკრულებების გადასინჯვა, აუწყოს ფართო პროლეტარულ საზოგადოებრიობას ამ ხელშეკრულებების შედეგების კარგი და უარყოფითი მხარენი და ფართოდ ჩააბას სოცშეთავსებისათვის წარმოებულ მუშაობაში საბჭოთა აპარატი, წარმოების საუკეთესო დამკვრელნი, დეპუტატთა ჯგუფების ის წევრები, რომელთაც აქვთ საბჭოთა აპარატში მუშაობის გამოცდილება.

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—იხმარონ ღონისძიებანი სოცშეთავსების იდეების ფართო პოპულარიზაციისათვის, გააშუქონ პერიოდულ პრესაში სოცშეთავსების საკითხები და აგრეთვე გამოსცენ სპეციალური ბროშურები ამავე საკითხებზე. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის კადრების განყოფილებამ უნდა გამოსცეს ორი თვის განმავლობაში პოპულარული ბროშურა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში, კერძოდ—ბაქოში, სოცშეთავსების ხაზით უკვე შეძენილი გამოცდილების შესახებ.

5. მიენდოს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის კადრების განყოფილებას—უზრუნველჰყოს სოცშემთავსებელთა რესპუბლიკანური თათბირებისა, შეკრებისა და კონფერენციების მოწყობა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში—მთლიანად.

6. დაევალოს გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ს—აწარმოოს სოცშეთავსების იდეისა და პრაქტიკის ფართო პოპულარიზაცია, განსაკუთრებით ბაქოს, ტფილისის, განჯის, ლენინაკანის და ბათუმის ხაზით.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. ხულთანოვი.**

1932 წ. მაისის 17.
ტფილისი.

მთავლიტი 1862. საქ. სახკომსაბჭოს სტამბა დაკვ. 1105. ტირაჟი 1.400.